ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 136

8 მაისი

"---"-------- 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და სსიპ " სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" 2015 წლის 29 აპრილის N05/24389 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" მოთხოვნა და სახელმწიფოს საკუთრებაში, უსასყიდლოდ გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისი, დიდი ლილო N81.08.20.468 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1120 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, შემდგომში, საქართველოს საპატრიარქოსათვის გადაცემის მიზნით ეკლესიის ასაშენებლად.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი